

## თავი პირველი

### ეკონომიკური თავისუფლებისა და პოლიტიკური თავისუფლების ურთიერთმიმართება

ფართოდ გავრცელებული რწმენის თანახმად, პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთთან დაუკავშირებელი სფეროებია, პიროვნების თავისუფლება პოლიტიკური პრობლემაა, ხოლო მატერიალური კეთილდღეობა - ეკონომიკური და ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის კომბინირება ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემასთანაა შესაძლებელი. დღეს ამ მოსაზრების ყველაზე მკაფიო გამოხატულება «დემოკრატიული სოციალიზმის» მოსარჩლეობა არის მათ მხრივ, ვინც ხელაღებით გმობს რუსეთის «ტოტალიტარული სოციალიზმის» მიერ პიროვნულ თავისუფლებაზე დაწესებულ შეზღუდვებს და დარწმუნებულია, რომ რუსეთს შეუძლია ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი პარამეტრების შენარჩუნება და ამავე დროს პოლიტიკური მოწყობის იმგვარი შეცვლა, რომ უზრუნველყოფილ იქნას პიროვნების თავისუფლება. მოცემული თავის ძირითადი იდეა ის არის, რომ დაამტკიცოს ამ თვალსაზრისის მცდარობა. ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის უშუალო კავშირი არსებობს; ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების მხოლოდ გარკვეული კომბინაცია არის შესაძლებელი, ხოლო სოციალისტური სახელმწიფო, იმავდროულად ვერ იქნება დემოკრატიული, პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ეკონომიკური წყობა ორმაგ როლს ასრულებს თავისუფალი საზოგადოების განმტკიცებაში. ერთის მხრივ, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება წარმოადგენს საერთოდ თავისუფლების, როგორც ზოგადი ცნების კომპონენტს; ასე, რომ მას თავისთავადი ღირებულება აქვს, იგი თვით არის მიზანი. მეორე მხრივ, ეკონომიკური თავისუფლება, პოლიტიკური თავისუფლების მიღწევის აუცილებელი საშუალებაა.

პირველი თვალსაზრისი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭიროებს, რადგანაც ინტელექტუალთა ზოგიერთ წარმომადგენელს, მის მიმართ, წინასწარ შექმნილი მოსაზრება აქვს, რომლითაც უარყოფს თავისუფლების ამ ასპექტის მნიშვნელობას. ასეთები უფრო იმისაკენ იხრებიან, რომ დააკნინონ ცხოვრების მატერიალურად წოდებული მხარე და თავიანთი განსაკუთრებული ყურადღების ღირსად მხოლოდ, ვითომდა უფრო მაღალ და მნიშვნელოვან ღირებულებებს მიიჩნევენ. თუმცა, ინტელექტუალებისაგან განსხვავებით, ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობისათვის, ეკონომიკური თავისუფლების, როგორც თავისთავადი ფასეულობის მნიშვნელობა, მეტი თუ არა, ტოლი მაინც არის იმ მნიშვნელობისა, რომელიც ეკონომიკურ თავისუფლებას პოლიტიკური თავისუფლების მიღწევის საქმეში ენიჭება.

დიდი ბრიტანეთის მოქალაქეს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვერ ახერხებდა შეერთებულ შტატებში სვებულების გატარებას სავალუტო კონტროლის გამო, ისევე წართმეული ჰქონდა ერთ-ერთი არსებითი თავისუფლება, როგორც აშშ-ს მოქალაქეს,

რომელსაც არ ჰქონდა საშუალება გაეტარებინა შევსება რუსეთში თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო. იმისდა მიუხედავად, რომ პირველი შემთხვევა ეკონომიური თავისუფლების შეზღუდვის აშკარა მაგალითის წარმოადგენს, ხოლო მეორე – პოლიტიკური შეზღუდვისა, მათ შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს.

შეერთებული შტატების მოქალაქეს, რომელიც კანონით იძულებულია თავისი შემოსავლის დაახლოებით 10% სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოცემული ტიპის საპენსიო კონტრაქტის შექენას მოახმაროს, ერთმევა პიროვნული თავისუფლების შესაბამისი წილი. ის, თუ რამდენად მძაფრად შეიძლება განიცდებოდეს თავისუფლების ამგვარი წართმევა და მისი სიახლოვე რელიგიური თავისუფლების წართმევასთან, რომელიც განიხილება არა «ეკონომიკურ» თავისუფლებად, არამედ «მოქალაქეობრივ» ან «პოლიტიკურ» თავისუფლებად, დრამატულ ფორმას იძენს ერთ-ერთ ეპიზოდში ემიგრების სექტის ფერმერთა ჯგუფის ცხოვრებიდან. თავისი პრინციპებიდან გამომდინარე, ეს ჯგუფი ხანდაზმული ასაკის სავალდებულო ფედერალურ პროგრამებს საკუთარი პიროვნული თავისუფლების ხელყოფად განიხილავდა და უარს აცხადებდა გადასახადის გადახდასა და დახმარების მიღებაზე. ამის შედეგად, მათი კუთვნილი პირუტყვის ნაწილი იძულებით გაიყიდა აუქციონზე სოცუზრუნველყოფის გადასახადის დასაფარავად. მართალია, იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელიც ხანდაზმულობის სავალდებულო დაზღვევას თავისუფლების შეზღუდვად განიხილავს, არც თუ ისე დიდია, მაგრამ იმისათვის ვისაც თავისუფლების სწამს, რაოდენობა არასოდეს არის მთავარი, არამედ სულ სხვა რამ.

შეერთებული შტატების მოქალაქეს, რომელიც ზოგიერთ შტატში არსებული კანონმდებლობის გამო, არ გააჩნია თავისუფლება, მისდიოს თავის მიერ არჩეულ საქმეს ლიცენზიის აღების გარეშე, ასევე წართმეული აქვს საკუთარი თავისუფლების არსებითი ნაწილი. იგივე ითქმის ადამიანზე, რომელსაც სურს თავისი საქონელი გაუცვალოს შვეიცარიელს მაჯის საათში, მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევს კვოტის არსებობა, კალიფორნიელზე, რომელიც ჩასვეს ციხეში იმის გამო, რომ ის Alka Selzer-ს ყიდდა იაფად იმ ფასთან შედარებით, რომელიც ამ პროდუქტის მწარმოებლის მიერ ეგრეთ წოდებული «სამართლიანი ვაჭრობის» კანონის საფუძველზე იყო დაწესებული, ფერმერზე, რომელსაც არ შეუძლია მოიყვანოს იმდენი ხორბალი, რამდენიც მას სურს და ასე შემდეგ. აშკარაა, რომ ეკონომიური თავისუფლება, როგორც თავისთავადი ფასეულობა, საერთო თავისუფლების უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია.

ეკონომიკური მოწყობა, თუ მას პოლიტიკური თავისუფლების მიღწევის საშუალებად განვიხილავთ, მნიშვნელოვანია იმ ზეგავლენის გამო, რომელიც მას ძალაუფლების კონცენტრაციასა და განაწილებაზე აქვს. იმგვარი ეკონომიური სისტემა, რომელსაც უშუალოდ თან სდევს ეკონომიური თავისუფლება, სახელდობრ კონკურენციაზე დაფუძნებული კაპიტალიზმი, პოლიტიკურ თავისუფლებასაც უწყობს ხელს, რადგანაც ეკონომიკურ ძალაუფლებას მიჯნავს პოლიტიკური ძალაუფლებისგან და ამ გზით, მათ მიერ ერთმანეთის დაკნინებას იშორებს თავიდან.

ისტორიული ფაქტები ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს პოლიტიკურ თავისუფლებასა და თავისუფალ ბაზარს შორის არსებულ კავშირზე. მე არ მეგულება არც ერთი საზოგადოება, განურჩევლად მისი არსებობის პერიოდისა, თუ გეოგრაფიული ადგილისა, რომელიც გამორჩეული იქნებოდა პოლიტიკური თავისუფლების დიდი ხარისხით და რომელსაც, ამავე დროს, არ გამოეყენებინა თავისუფალი ბაზრის მსგავსი სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი ნაწილის ორგანიზების მიზნით.

იმის გამო, რომ ჩვენ საკმაოდ თავისუფალ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, ხშირად გვაღიწყვდება, თუ რამდენად შეზღუდულია დროის ის მონაკვეთი და მსოფლიოს ის ნაწილი, სადაც ოდესმე უარსებია პოლიტიკური თავისუფლების მსგავს რაიმეს. კაცობრიობისათვის ტიპიური მდგომარეობაა ტირანია, მონობა და სილატაკე. დასავლეთის სამყაროში მეცხრამეტე საუკუნე და მეოცე საუკუნის დასაწყისი აშკარა გამონაკლისს წარმოადგენს, რომელიც ისტორიული განვითარების ზოგადი ტენდენციიდანაა ამოვარდნილი. ამ თვალსაზრისით უდავოა, რომ პოლიტიკური თავისუფლება, თავისუფალ ბაზართან და კაპიტალისტური ინსტიტუტების შექმნასთან ერთად გაჩნდა. იგივე ითქმის პოლიტიკურ თავისუფლებაზე საბერძნეთის ოქროს ხანაში და რომაული ეპოქის ადრეულ პერიოდში.

ისტორია მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ კაპიტალიზმი პოლიტიკური თავისუფლების აუცილებელი პირობაა. ამასთან, ნათელია, რომ ის პოლიტიკური თავისუფლების საკმარის პირობას არ წარმოადგენს. ფაშისტური იტალია და ფაშისტური ესპანეთი, გერმანია სხვადასხვა პერიოდში, უკანასკნელი სამოცდაათი წლის მანძილზე, იაპონია პირველ და მეორე მსოფლიო ომამდე, მეფის რუსეთი პირველ მსოფლიო ომამდე ათწლეულში, - ყველა ის საზოგადოებაა, რომელსაც პოლიტიკურად თავისუფალს ვერ ვუწოდებთ. მიუხედავად ამისა, ყოველი მათგანის ეკონომიკური წყობის გაბატონებული ფორმა კერძო წარმოება იყო. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია თანაარსებობდეს კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა და პოლიტიკური სისტემა, რომელიც თავისუფალი არ არის.

თვით ნახსენებ საზოგადოებებშიც კი, მოქალაქეებს ბევრად მეტი თავისუფლება ჰქონდათ, ვიდრე რუსეთისა და ნაცისტური გერმანიის მსგავსი თანამედროვე ტოტალიტარული ქვეყნების მოქალაქეებს, სადაც ეკონომიკური ტოტალიტარიზმი პოლიტიკურ ტოტალიტარიზმთან არის კომბინირებული. მეფის რუსეთშიც კი, ზოგიერთი მოქალაქისათვის, ზოგიერთ ვითარებაში შესაძლებელი იყო სამუშაოს შეცვლა პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან ნებართვის აუღებლად, რადგანაც კაპიტალიზმის და კერძო საკუთრების არსებობა გარკვეულად კონტროლს უწევდა სახელმწიფოს ცენტრალიზებულ ხელისუფლებას.

მიმართება პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებას შორის უდავოდ რთული და არაერთმნიშვნელოვანია. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ბენთამი და ფილოსოფოსი რადიკალები პოლიტიკურ თავისუფლებას ეკონომიკური თავისუფლების მიღწევის საშუალებად მიიჩნევდნენ. მათ სჯეროდათ, რომ მასებს ხელს უშლიდა დაწესებული შეზღუდვები და თუკი პოლიტიკური რეფორმა ადამიანთა უმრავლესობას არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მისცემდა, ეს ადამიანები გააკეთებდნენ იმას, რაც მათთვის

სასარგებლო აღმოჩნდებოდა, ანუ *laissez faire*-ს მისცემდნენ ხმას. დღევანდელი გადასახედიდან ეს მოსაზრება მთლად მცდარი არა ჩანს. პოლიტიკური რეფორმის დიდ ნაწილს თან ახლდა ეკონომიკური რეფორმა *laissez faire*-ის განმტკიცების მიმართულებით. ეკონომიკური წყობის ასეთ ცვლილებას მასების კეთილდღეობის მკვეთრი გაუმჯობესება მოჰყვა.

მეცხრამეტე საუკუნის ინგლისში ბენტამისეული ლიბერალიზმის ტრიუმფს რეაქციად მოჰყვა ეკონომიკურ საქმეებში მთავრობის უფრო აქტიური ჩარევა. კოლექტივიზმისაკენ ამ სწრაფვას ინგლისშიც და სხვაგანაც დიდად შეუწყო ხელი ორივე მსოფლიო ომმა. დემოკრატიულ ქვეყნებში წამყვანი მნიშვნელობა შეიძინა არა თავისუფლებამ, არამედ კეთილდღეობამ. აცნობიერებდნენ რა ინდივიდუალიზმთან დაკავშირებულ ხიფათს, ფილოსოფოსი რადიკალები დიკეი, მიზესი, ჰაიეკი, სიმონსი და სხვანი შიშობდნენ, რომ მუდმივი მოძრაობა ეკონომიკურ საქმიანობაზე ცენტრალიზებული კონტროლის დაწესების მიმართულებით დაადასტურებდა «გზას მონობისაკენ» როგორც ჰაიეკმა მოსწრებულად დაარქვა ამ პროცესის თავის სიღრმისეულ ანალიზს. ისინი აქცენტს სვამდნენ ეკონომიკურ თავისუფლებაზე, როგორც პოლიტიკური თავისუფლების მიღწევის საშუალებაზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებული მოვლენები ააშკარავებს კიდევ ერთ, განსხვავებულ მიმართებას ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისუფლებას შორის. კოლექტივისტურმა ეკონომიკურმა დაგეგმვამ მართლაც შეუშალა ხელი პიროვნების თავისუფლებას. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, ამას არა თავისუფლების დათრგუნვა მოჰყვა შედეგად, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის გაუკუღმართება. ამ შემთხვევაშიც, ყველაზე თვალში საცემ მაგალითს ინგლისი გვაწვდის. შემობრუნების პუნქტად შეიძლება «დასაქმებაზე კონტროლის გაწევის» შესახებ განკარგულება მივიჩნიოთ, რომლის შემოღება ლეიბორისტულმა პარტიამ თავისი ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად, სერიოზული შიშის მიუხედავად, აუცილებლად ჩათვალა. ამ კანონის სრულად ამოქმედების შემთხვევაში, უნდა შემოეღოთ ადამიანების ცენტრალიზებული წესით დასაქმება. ყოველივე ეს იმდენად ეწინააღმდეგებოდა პიროვნულ თავისუფლებას, რომ კანონის გატარება სულ რამდენიმე შემთხვევაში მოხდა, ხოლო ძალაში ყოფნის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ კანონი გაუქმდა. კანონის გაუქმებით აღინიშნა გადამწყვეტი ცვლილება ეკონომიკურ პოლიტიკაში, რაც გულისხმობდა ცენტრალიზებულ «გეგმებსა» და «პროგრამებზე» დაყრდნობაზე ხელის აღებას, მრავალი მაკონტროლებელი მექანიზმის მოშლას და კერძო ბაზრისათვის უფრო დიდი მნიშვნელობის მინიჭებას. მსგავსი ცვლილებები ბევრი სხვა დემოკრატიული ქვეყნის პოლიტიკაშიც აღინიშნა.

პოლიტიკაში მომხდარი ამგვარი ცვლილებების ბუნებრივი ახსნა ის არის, რომ ცენტრალურ დაგეგმვას მხოლოდ შეზღუდული წარმატება მოჰყვება, ან კიდევ ის, რომ იგი დასახული მიზნების მიღწევაში აშკარა მარცხს განიცდის. თუმცა, თავად ეს მარცხი გარკვეულწილად მაინც უნდა მიეწეროს ცენტრალური დაგეგმვის პოლიტიკურ ასპექტს და ცენტრალური დაგეგმვის ლოგიკისათვის გაყოლის არასაკმარის სურვილს, იმ შემთხვევაში, როცა ეს ძვირფასი პიროვნული უფლებების უხეშ გათელვას საჭიროებს. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ხსენებული ცვლილება მხოლოდ დროებითი შემობრუნებაა ჩვენი საუკუნის კოლექტივისტურ ტენდენციაში და ამ შემთხვევაშიც კი, ჩვენს წინაშეა პოლიტიკურ თავისუფლებასა და ეკონომიკურ წყობას შორის არსებული მჭიდრო კავშირის კიდევ ერთი მაგალითი.

ისტორიული ფაქტები თავისთავად არასოდეს არის დამაჯერებელი. შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითობა იყო ის, რომ თავისუფლების ზრდისას კაპიტალიზმისა და საბაზრო ინსტიტუტები ვითარდებოდა. რატომ უნდა არსებობდეს კავშირი მათ შორის? რა ლოგიკური კავშირები არსებობს ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისუფლებას შორის? ამ საკითხების განხილვისას, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ბაზარი, როგორც თავისუფლების უშუალო შემადგენელი ნაწილი და შემდეგ კი, არაპირდაპირი კავშირი საბაზრო საქმიანობასა და პოლიტიკურ თავისუფლებას შორის. ამის უნებლიე შედეგი თავისუფალი საზოგადოებისათვის იდეალური ეკონომიკური წყობის მონახვა იქნებოდა.

როგორც ლიბერალები, სოციალური სისტემის შეფასებისას, ჩვენ საბოლოო მიზნად პიროვნების, - შესაძლოა ოჯახის თავისუფლებასაც, - მივიჩნევთ. ამ გაგებით, თავისუფლება, როგორც თავისთავადი ფასეულობა, ეხება ადამიანებს შორის ურთიერთობას. ის არავითარი მნიშვნელობის მატარებელი არ არის უკაცრიელ კუნძულზე პარასკევას გარეშე მყოფი რობინზონ კრუზოსათვის. კუნძულზე მყოფი რობინზონ კრუზო ექვემდებარება გარკვეულ «შეზღუდვებს», მას შეზღუდული «ძალაუფლება» გააჩნია და მის წინაშე ალტერნატივათა შეზღუდული რაოდენობა დგას, მაგრამ აქ არ წამოიჭრება თავისუფლების პრობლემა იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მას ენიჭება ჩვენს მიერ გაშლილ მსჯელობაში. ანალოგიურად, თავისუფლება მოცემულ საზოგადოებაში არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ როგორ ექცევა ადამიანი საკუთარ თავისუფლებას; არ არსებობს ყოვლის მომცველი ეთიკა. და მართლაც, ლიბერალის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ის არის, რომ ეთიკური პრობლემები თვით ადამიანს დაუტოვოს საჯილდაო ქვად. «ნამდვილად» მნიშვნელოვანი ეთიკური პრობლემები ისინია, რომელიც თავისუფალი საზოგადოების წევრის წინაშე დგას: ის, თუ როგორ მოეპყროს იგი საკუთარ თავისუფლებას. ამგვარად, ლიბერალი ორი რიგის ფასეულობაზე ამახვილებს ყურადღებას: პირველია ფასეულობანი, რომელიც ეხება ადამიანთა ურთიერთობას, ხოლო მათში კი თავისუფლებას, რომელსაც ლიბერალი უმაღლეს პრიორიტეტს ანიჭებს. მეორეა ფასეულობანი, რომლებიც ეხება პიროვნების მიერ თავისუფლების განხორციელებას, რაც პიროვნული ეთიკისა და ფილოსოფიის საუფლოს წარმოადგენს.

ლიბერალი, ადამიანს არასრულყოფილ არსებად განიხილავს. იგი სოციალური მოწყობის პრობლემას ნეგატიურ პრობლემად მიიჩნევს, რაც გულისხმობს «ცული» ადამიანებისათვის ხელის შეშლას ბოროტების ჩადენაში და «კარგი» ადამიანებისათვის ხელის შეწყობას კეთილი საქმეების ჩასადენად. რაღა თქმა უნდა, «კარგი» და «ცული» შეიძლება ერთი და იგივე ადამიანები იყვნენ, იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის მათი განმსჯელი.

სოციალური ორგანიზაციის ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ უნდა მოხდეს მრავალი ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაცია. თვით შედარებით დაბალგანვითარებულ საზოგადოებებშიც კი, არსებული რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება, შრომისა და ფუნქციების განაწილებას საჭიროებს ფართო მასშტაბით. განვითარებულ საზოგადოებებში უზომოდ დიდია ის მასშტაბი, რომლითაც უნდა ხორციელდებოდეს ეს კოორდინაცია, რათა თანამედროვე საზოგადოებისა და ტექნოლოგიის შესაძლებლობები სრულად იქნას ათვისებული. ფიგურალურად თუ ვიტყვით, მილიონობით ადამიანი დაკავებული ერთმანეთის ყოველდღიური სარჩოთი

უზრუნველსაყოფად, თუკი არ ვახსენებთ ავტომობილებით მათ აქეთ-იქეთ გადაყვანას. იმისთვის, ვისაც თავისუფლების სწამს, რთულია პიროვნული თავისუფლების შერიგება ადამიანების ამ ყოველმხრივ ერთმანეთისაგან დამოკიდებულ არსებობასთან.

მილიონობით ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციის მხოლოდ ორი გზა არსებობს. ერთია ცენტრალური მართვა, რომელიც იძულების გამოყენებას გულისხმობს, ანუ მართვის იმ ტექნიკას, რომელსაც იყენებს ჯარი და თანამედროვე ტოტალიტარული სახელმწიფო. მეორეა ინდივიდების ნებაყოფლობითი თანამშრომლობა, ანუ ბაზრისათვის დამახასიათებელი ტექნიკა.

ნებაყოფლობითი თანამშრომლობის მეშვეობით კოორდინაციის განხორციელების შესაძლებლობა ეფუძნება მარტივ, თუმცა ხშირად უარყოფილ წანამძღვარს, რომლის თანახმად, ეკონომიკური გარიგების ორივე მხარე სარგებელს ხედავს ამგვარი გარიგებისაგან, თუკი იგი ორმხრივად ნებაყოფლობითია და ორივე მხარე სრულად ინფორმირებული.

ამგვარად, ასეთი ურთიერთგაცვლის შედეგი არის კოორდინაცია ყოველგვარი იძულების გარეშე. ნებაყოფლობითი გაცვლის პრინციპზე აწყობილი საზოგადოების მუშა მოდელი თავისუფალ გაცვლაზე დაფუძნებული კერძო წარმოების ეკონომიკაა, ანუ ის რასაც ჩვენ კონკურენციაზე დაფუძნებულ კაპიტალიზმს ვუწოდებთ.

უმარტივესი სახით, ასეთი საზოგადოება შედგება დამოუკიდებელი მეურნეებისაგან, ისე, თითქოს რობინზონ კრუზოების კრებული იყოს. თითოეული მეურნეობა იყენებს თავისი კონტროლის ქვეშ მყოფ რესურსებს საქონლის საწარმოებლად და მომსახურების გასაწევად, რათა, ორივე მხარისათვის ხელსაყრელი გარიგების მეშვეობით გაცვალოს ისინი სხვა მეურნეობის მიერ წარმოებულ საქონელსა და შემოთავაზებულ მომსახურებაში. მეურნეობას ამით საშუალება ეძლევა დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილებები არაპირდაპირი გზით – სხვებისათვის საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაწევით, ნაცვლად იმისა, რომ აწარმოოს საქონელი უშუალოდ საკუთარი მოხმარებისათვის. რა თქმა უნდა, ამგვარი არაპირდაპირი გზის დამკვიდრებას ხელს უწყობს ნაწარმის რაოდენობის ზრდა, რომელსაც შრომის განაწილება და ფუნქციონირება დაყოფა განაპირობებს. სანამ მეურნეობას შეუძლია უშუალოდ საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოოს, მას არ სჭირდება გარიგებაში მონაწილეობა, თუკი ის მისგან სარგებელს არ ხედავს. შესაბამისად, არ შედგება არც ერთი ისეთი გარიგება, რომელიც ორივე მხარისათვის არ არის მომგებიანი. ამგვარად მიიღწევა თანამშრომლობა იძულების გარეშე.

ძირითად საწარმოო ერთეულად შიდა მეურნეობა რომ დარჩენილიყო, ფუნქციებისა და შრომის განაწილება ვერ განვითარდებოდა. თანამედროვე საზოგადოება ბევრად უფრო შორს წავიდა. ჩვენ შემოვიღეთ საწარმოები, რომლებიც შუამავლები არიან მომსახურების გამწვევ და საქონლის შემსყიდველ ინდივიდებს შორის. ზუსტად ასევე, შრომისა და

ფუნქციების განაწილება შორს ვერ წავიდოდა, მუდმივად ბარტერზე, - ერთი პროდუქტის მეორე პროდუქტში გაცვლაზე დაყრდნობა რომ მოგვწეოდა. ამან ფულის, როგორც გაცვლის პროცესის გამაადვილებელი საშუალებისა და ყიდვა-გაყიდვის აქტის ორ ნაწილად, ყიდვად და გაყიდვად გამყოფის შემოღება განაპირობა.

იმ მნიშვნელოვანი როლის მიუხედავად, რომელსაც ჩვენს ეკონომიკაში მეწარმეობა და ფული ასრულებს და მიუხედავად მათ მიერ აღძრული ურიცხვი რთული პრობლემებისა, საბაზრო ტექნიკის ძირითადი მახასიათებელი, რომელიც კოორდინაციას უზრუნველყოფს, სრულად ვლინდება გაცვლის მარტივ ეკონომიკაში, სადაც არც მეწარმეობა არსებობს და არც ფული. როგორც ამ მარტივ მოდელში, ისე მეწარმეობისა და ფულის შემცველ რთულ ეკონომიკაშიც, თანამშრომლობა სრულიად ინდივიდუალური და ნებაყოფლობითია, თუ (1) მეწარმეობა კერძოა, რის გამოც, გარიგების მხარეები ინდივიდები არიან, (2) ინდივიდები ფაქტიურად თავისუფალნი არიან მიიღონ, ან არ მიიღონ მონაწილეობა კონკრეტულ გაცვლაში, რის გამოც ყოველი გარიგება სრულიად ნებაყოფლობითია.

ამ პოზიციების ზოგადად ჩამოყალიბება უფრო მარტივია, ვიდრე მათი დეტალებში გარჩევა, ან იმ ინსტიტუციონალური ღონისძიებების ჩამოთვლა, რომელნიც მათ რეალიზაციას უზრუნველყოფენ. სწორედ ამ საკითხებს ეხება ტექნიკური ეკონომიკური ლიტერატურის უმეტესობა. უმთავრესი საკითხი წესრიგისა და კანონის დაცვა არის, რათა ინდივიდთა ერთმა ნაწილმა ფიზიკური ძალა არ იხმაროს სხვათა მიმართ და ხელი შეეწყოს ნებაყოფლობითი კონტრაქტების დადებას, რომლებში მონაწილეობაც სწორედ «კერძობის» სუბსტრატს, არსს ჰქმნის. ამასთან ერთად, ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა წარმოიქმნება მონოპოლიის მხრიდან, რომელიც ზღუდავს რეალურ თავისუფლებას იმით, რომ პიროვნებებს ართმევს მოცემული გაცვლის ალტერნატივას, მეორე კი ე.წ. «სამეზობლო გავლენისაგან», - იმ გავლენისაგან მესამე მხარეზე, რომლის კომპენსაცია, ან რომლისთვისაც ფასის მისადაგება შეუძლებელია. ეს პრობლემები შემდეგ თავში იქნება უფრო დეტალურად განხილული.

სანამ უზრუნველყოფილია გაცვლის რეალური თავისუფლება, ეკონომიკის საბაზრო ორგანიზების უმთავრესი ნიშანი ის არის, რომ იგი თავიდან იცილებს ერთი პიროვნების ჩარევას მეორე პიროვნების საქმიანობის უმეტეს ნაწილში. მომხმარებელი დაცულია მიმწოდებლის ძალადობისაგან, სხვა მიმწოდებლის არსებობით, რომელთანაც მას ასევე შეუძლია საქმის დაჭერა. გამყიდველი დაცულია მომხმარებლის ძალადობისაგან, სხვა მომხმარებელთა არსებობით, რომლებსაც შეიძლება მიეყიდოს საქონელი. დასაქმებული დაცულია დამსაქმებლის ძალადობისაგან, სხვა დამსაქმებელთა არსებობით, რომელთათვისაც მას შეუძლია იმუშაოს და ასე შემდეგ. თანაც, ყოველივე ამას, ბაზარი უპიროვნოდ და ცენტრალური მართვის გარეშე ახერხებს.

მართლაც, თავისუფალი ეკონომიკის უარყოფის უმთავრეს საბაზად სწორედ მის მიერ ამ საკითხების ასე სრულყოფილად მოგვარება მოჰყავთ. იგი ადამიანებს იმას აძლევს, რაც მათ უნდათ და არა იმას, რასაც ესა თუ ის ჯგუფი მიიჩნევს მათთვის საჭიროდ. თავისუფალი

ბაზრის წინააღმდეგ მიმართულ არგუმენტთა უმრავლესობა თვით თავისუფლებას აყენებს ექვემდებარებაში.

რასაკვირველია, თავისუფალი ბაზრის არსებობა მთავრობის აუცილებლობას არ ცვლის. მეორე მხრივ, მთავრობა ორ ძირითად საკითხს წყვეტს: იგი ფორუმი «თამაშის წესების» დასადგენად და მიღებული წესების ინტერპრეტაციისა და დაცვის მსაჯულია. რასაც ბაზარი აკეთებს, ის არის, რომ იგი ამცირებს იმ საკითხთა რაოდენობას, რომლებიც პოლიტიკური საშუალებებით უნდა იქნან გადაწყვეტილი და ამით მინიმუმამდე დაჰყავს მთავრობის უშუალო მონაწილეობა თამაშში. პოლიტიკური არხებით საკითხთა გადაწყვეტის მთავარი მახასიათებელი ნიშანი არის პრინციპული კონფორმულობისაკენ სწრაფვა. ბაზრის საუკეთესო თვისება, მეორეს მხრივ, არის განსხვავებათა ფართო დიაპაზონის გათვალისწინების შესაძლებლობა. პოლიტიკურ ტერმინოლოგიას თუ ვიხმართ, ბაზარი პროპორციული წარმომადგენლობითობის სისტემა არის. ეს ისეა, თითქოს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია აირჩიოს ჰალსტუხის ის ფერი, რომელიც მას მოსწონს და არ მიაქციოს ყურადღება იმას, თუ რა ფერის ჰალსტუხი მოსწონს უმრავლესობას, ხოლო, თუკი თვითონ უმცირესობაში მოხვდება, უმცირესობაშივე შეძლოს დარჩენა.

სწორედ ბაზრის ამ თვისებას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ, ბაზარი ეკონომიკურ თავისუფლებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ამ მახასიათებლის გავლენა ბევრად უფრო მომცველია, ვიდრე მხოლოდ ეკონომიკა. პოლიტიკური თავისუფლება გულისხმობს ერთი ადამიანის მიერ მეორის მიმართ ძალდაუტანებლობას. თავისუფლებისათვის ფუნდამენტალურ საფრთხეს წარმოადგენს ძალადობის უფლება, ვის ხელშიც არ უნდა იყოს იგი, - მონარქის, დიქტატორის, ოლიგარქის, თუ ამჟამინდელი უმრავლესობისა. თავისუფლების დაცვა მოითხოვს ძალაუფლების ამგვარი კონცენტრაციის თავიდან აცილებას და მის მაქსიმალურად შესაძლო გაფანტვასა და გადანაწილებას, და რადგანაც ამგვარი კონცენტრაციის მთლიანი აღმოფხვრა შეუძლებელია, - საკონტროლო მექანიზმებისა და დაბალანსების შესაბამის სისტემას. ეკონომიკური საქმიანობის პოლიტიკური ორგანოების კონტროლიდან გამოყვანით, ბაზარი თავიდან იცილებს ძალადობის ერთ წყაროს. იგი ეკონომიკურ ძალას უფრო პოლიტიკური ძალაუფლების მაკონტროლებლად გადააქცევს, ვიდრე მის გამაძლიერებლად.

ეკონომიკური ძალაუფლება შეიძლება ფართედ იყოს გადანაწილებული. არ არსებობს შენახვის კანონი, რომლის მიხედვითაც ახალი ეკონომიკური ძალაუფლების ცენტრების განვითარება არსებულთა ხარჯზე უნდა მოხდეს. ამის საპირისპიროდ, პოლიტიკური ძალაუფლების დეცენტრალიზება ბევრად უფრო რთული საქმეა. დასაშვებია ბევრი პატარა დამოუკიდებელი მთავრობის არსებობა. ბევრად უფრო ძნელია პოლიტიკური ძალაუფლების მომცრო, მაგრამ თანასწორი ცენტრების შექმნა დიდი ქვეყნის ხელისუფლებაში, ვიდრე მრავალი მომცრო ეკონომიკური ძალაუფლების შექმნისა ერთიან დიდ ეკონომიკაში. ერთ დიდ ეკონომიკაში დასაშვებია მრავალი მილიონერის არსებობა. ამის საპირისპიროდ, შესაძლებელია ერთზე მეტი გამოჩენილი ლიდერის არსებობა? პიროვნებისა, რომლისკენაც მიმართული იქნებოდა თანამემამულეთა მთელი ენერჯია და ერთუზიანობა? როდესაც ცენტრალური ხელისუფლება ძალაუფლებას იზრდის, ეს ადგილობრივი ხელისუფლების ხარჯზე ხდება. ისე ჩანს, თითქოს არსებობდეს გასანაწილებელი პოლიტიკური ძალაუფლების უცვლელი რაოდენობა. აქედან გამომდინარე, თუკი ეკონომიკური ძალაუფლება პოლიტიკურს უერთდება, კონცენტრაცია

გარდაუვალი ხდება. თუკი ეკონომიკური ძალაუფლება პოლიტიკურისაგან განსხვავებულ ხელში იმყოფება, იგი პოლიტიკური ძალაუფლების გამაკონტროლებლად და გამზომად გვევლინება.

ამ აბსტრაქტული არგუმენტის ძალა შეიძლება ნაჩვენები იქნას მაგალითზე. ჯერ განვიხილოთ ჰიპოთეტური სიტუაცია, რომელიც მოქმედ პრინციპს დაგვანახებს, შემდეგ კი გადავიდეთ რეალურ გამოცდილებაზე, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ახერხებს ბაზარი პოლიტიკური თავისუფლების შენარჩუნებას.

თავისუფალი საზოგადოების ერთ-ერთი ნიშანია იმ პირთა თავისუფლების უზრუნველყოფა, რომლებიც ღია პროპაგანდას უწევენ საზოგადოების სტრუქტურის რადიკალურ შეცვლას, იმ ზომამდე, სანამ ეს პროპაგანდა არ მოუწოდებს ადამიანებს უშუალო ძალადობის, ან სხვა სახის იძულებისაკენ. კაპიტალისტური საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია, რომ მასში ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ გაუწიონ პროპაგანდა სოციალიზმს და მის სასარგებლოდ იღვაწონ. წესით, საპირისპიროდ, ადამიანებს სოციალისტურ საზოგადოებაშიც უნდა ჰქონოდათ კაპიტალიზმის დამყარებისათვის თავისუფალი პროპაგანდის გაწევის უფლება. როგორ იქნებოდა შესაძლებელი სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანთა მიერ კაპიტალიზმის პროპაგანდის უფლების დაცვა და უზრუნველყოფა?

კაცმა რომ რაიმეს პროპაგანდა გაუწიოს, ჯერ საჭმელ-სასმელის ფული უნდა იშოვოს. სოციალისტურ საზოგადოებაში უკვე ეს ჰქმნის პრობლემას, რადგანაც ყველა სამუშაო ადგილი ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება. სოციალისტურმა ხელისუფლებამ თავისი თავის უარყოფის აქტი უნდა ჩაატაროს, რომ საკუთარ მუშა-მოსამსახურეებს საშუალება მისცეს პროპაგანდა გაუწიონ ოფიციალური დოქტრინის საწინააღმდეგო პოლიტიკას. ეს სიტუაცია შეერთებული შტატებისათვისაც ნაცნობია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფედერალურ სამსახურებში დასაქმებულთა შორის «უშიშროების» პრობლემით.

მოდით, დავუშვათ, რომ სოციალისტურმა ხელისუფლებამ ამგვარი თვითუარყოფის აქტი მოახდინა. იმისათვის, რომ კაცმა კაპიტალიზმს პროპაგანდა გაუწიოს, რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს, უნდა შეგვეძლოს ღონისძიებათა, - კრებების, პუბლიკაციების, რადიოში გამოსვლების, ჟურნალ-გაზეთების გამოცემის და სხვათა დაფინანსებაც. სად უნდა იშოვნოს ეს თანხები? რასაკვირველია, სოციალისტურ საზოგადოებაში აუცილებლად იქნებიან ისეთები, ვისაც დიდი თანხები, ვთქვათ სამთავრობო დაფინანსება, ან მსგავსი შემოსავლები ექნება, მაგრამ ეს პირები ნამდვილად თვითვე იქნებიან სამთავრობო ოფიციალის წევრები. ალბათ კიდევ შესაძლებელია სოციალისტური სისტემის უმნიშვნელო მუშაკის წარმოდგენა, როდესაც იგი ღიად უწევს პროპაგანდას კაპიტალიზმს და მაინც ინარჩუნებს სამსახურს. მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა წარმოგვედგინა სოციალისტური ბობოლა, რომელიც ამგვარ «უკულმართობას» დააფინანსებდა.

თანხების შეგროვების ერთდერთი შესაძლებლობა იქნებოდა მრავალი წვრილი მუშაკისაგან ცოტ-ცოტას მიღება. ეს, რასაკვირველია არ არის რეალური გამოსავალი. ამ წყაროდან თანხების მისაღებად საჭირო იქნებოდა უამრავი ადამიანის დარწმუნება და მთელი ჩვენი პრობლემა ამ საკითხის ორგანიზება და დაფინანსება იქნებოდა. კაპიტალისტურ სისტემაში მოქმედი რადიკალური მოძრაობები არასოდეს მიმართავენ დაფინანსების ამ გზას. მათ, როგორც წესი მხარს უჭერს რამდენიმე მდიდარი ადამიანი, რომელთა გადაჯერებაც შესაძლებელი გახდა, როგორც არის, მაგალითად ფრედერიკ ვანდერბილდ ფილდი, ანითა მაკკორმიკ ბლეინი, ან კიდევ კორლის ლამონტი, მხოლოდ ყველაზე ცნობილთ თუ დავასახელებთ, ანდა იყო ფრიდრიხ ენგელსი, თუკი ისტორიას გადავხედავთ. სიმდიდრის მიერ წარმოქმნილი უთანასწორობის ერთ-ერთი როლი, რასაც იშვიათად აღნიშნავენ, სწორედ პოლიტიკური თავისუფლების მცველის, მისი მეპატრონის როლია.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მხოლოდ რამდენიმე მდიდარი ადამიანის დარწმუნება არის საჭირო, ამა თუ იმ წამოწყების დასაფინანსებლად და რაც გასაკვირია, ამგვარი ადამიანები მრავლად არიან; უამრავი დამოუკიდებელი მხარდამჭერი მოიძებნება. სინამდვილეში, ისიც კი არ არის საჭირო, რომ დაარწმუნო ფულის მომცემი ორგანიზაცია, ან ადამიანი იღების სისწორეში, რომელთა გავრცელებასაც აპირებ. საკმარისია დაარწმუნო ისინი, რომ ეს წამოწყება ფინანსურ წარმატებას მოიტანს, რომ გაზეთი, ჟურნალი, წიგნი, ან საქმე მომგებიანი იქნება. კონკურენციაში ჩართულ გამომცემელს, არ გააჩნია უფლება, გამოაქვეყნოს მხოლოდ ის, რასაც იგი ეთანხმება; მისი ორიენტირი, მის მიერ ბაზარში ჩადებული თანხების საკმაო მოგებით უკან დაბრუნების შანსი უნდა იყოს.

ამ გზით არღვევს ბაზარი მოჯადოებულ წრეს და საბოლოო ჯამში, შესაძლებელს ხდის, ბევრი სხვადასხვა ადამიანის წინასწარ დარწმუნების გარეშე, ცოტა თანხით ამგვარი წამოწყების დაფინანსებას. სოციალისტურ საზოგადოებაში ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს; აქ მხოლოდ ყოვლისშემძლე სახელმწიფო ბატონობს.

მოდით დავაბოთ ჩვენი წარმოდგენა და დავუშვათ, რომ სოციალისტურმა ხელისუფლებამ იცის ამის შესახებ და თვით შედგება იმგვარი ადამიანებისაგან, რომელთათვისაც თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს. იშოვის იგი თანხებს? შესაძლოა, თუმცა ძნელი წარმოსადგენი, თუ როგორ მოხდება ეს. შეიძლება ხელისუფლებამ აიღოს და დააარსოს უკუღმართი პროპაგანდის ბიურო. როგორ უნდა განსაზღვრონ, თუ ვის დააფინანსებენ? თუკი ყველას მისცემდნენ თანხებს, ვინც დაფინანსებას მოითხოვდა, მალე გაიხარაჯებოდნენ, რადგანაც სოციალიზმი ვერ ითვალისწინებს ელემენტარულ ეკონომიკურ კანონს, რომ რაც უფრო იზრდება ფასი, მით უფრო იმატებს მიწოდება. რადიკალური იდეების პროპაგანდა სარგებელს მოიტანდა და ამგვარი იდეების პროპაგანდისტთა რიცხვიც უზომოდ გაიზრდებოდა.

მეტიც, არაპოპულარული მოსაზრებების პროპაგანდა, არ ნიშნავს, რომ მას თანხები არ სჭირდება. პირიქით, ვერცერთი საზოგადოება ვერ შეინარჩუნებდა სტაბილურობას, რადიკალურ ცვლილებათა პროპაგანდა უფასო რომ ყოფილიყო, ან მას ნაკლები

დაფინანსება დასჭირვებოდა. ცნობილია, რომ ადამიანები ხშირად იძლევიან შეწირულობას იმ საქმისათვის, რომლისაც სწამთ. მართლაც, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას იმ ადამიანთა თავისუფლება, ვისაც საკუთარი თავის უარყოფა სწადია; სხვა შემთხვევაში თავისუფლება ნებართვად ან უპასუხისმგებლობად გადაგვარდება. მნიშვნელოვანი ის არის, რომ მოთმენილი და ატანილი იქნას არაპოპულარული მოსაზრებების პროპაგანდის ხარჯები და არა აკრძალული.

ჯერ არ დაგვიმთავრებია. თავისუფალ საბაზრო საზოგადოებაში საკმარისია თანხები გქონდეს. ქალაქის მიმწოდებელს ისევე სურს თავისი საქონელი მიჰყიდოს *Daily Worker*-ის რედაქციას, როგორც *Wall Street Journal*-ისას. სოციალისტურ საზოგადოებაში ფულის ქონა საკმარისი არ იქნებოდა. კაპიტალიზმის ჰიპოთეტურ მხარდამჭერს უნდა დაერწმუნებინა სახელმწიფო ქალაქის ფაბრიკა, რომ მისგან შეეძინა ქალაქი, სახელმწიფო სტამბა, რომ დაებეჭდა სააგიტაციო მასალა, სახელმწიფო ფოსტა, რომ დაეგზავნა დაბეჭდილი ნაწარმი, სახელმწიფო სააგენტო, რომ ექირავა დარბაზი კრების მოსაწყობად და ა.შ.

შესაძლოა, რაიმე გზა კიდევაც არსებობდეს ამ საძნელებების გადასალახავად და სოციალიზმში თავისუფლების უზრუნველსაყოფად. არ შეიძლება თქმა, რომ ეს საერთოდ შეუძლებელია. თუმცა, სავსებით ნათელია, რომ იმგვარი ინსტიტუტების დაარსების რეალური სიძნელებები არსებობს, რომლებსაც შეეძლებოდათ აზრთა სხვადასხვაობის უზრუნველყოფა. რამდენადაც ვიცი, არცერთს იმ ადამიანთაგან, რომლებიც ერთდროულად აღიარებენ სოციალიზმსაც და თავისუფლებასაც, არასოდეს რეალურად არ უფიქრია ამ საკითხზე და არ მოუხდომებია იმგვარი ინსტიტუციონალური სტრუქტურების ჩამოყალიბება, რომლებიც სოციალიზმის პირობებში თავისუფლების დაცვას უზრუნველყოფდნენ. ამის საპირისპიროდ, ნათელია, თუ როგორ უზრუნველყოფს თავისუფლებას კაპიტალისტური საზოგადოების თავისუფალი ბაზარი.

ამ პრინციპების ნათელი მაგალითია უინსტონ ჩერჩილს შემთხვეული ამბავი. 1933 წლიდან მოყოლებული მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მას არ ჰქონია ბრიტანული რადიოთი გამოსვლის უფლება, რომელიც სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენდა და ბრიტანული მაუწყებლობის კორპორაციის მეშვეობით იმართებოდა. იგი თავისი ქვეყნის გამოჩენილი მოღვაწე, პარლამენტის წევრი, ყოფილი მინისტრი იყო და ცდილობდა თავისი თანამემამულენი დაერწმუნებინა ჰიტლერული გერმანიის მხრიდან არსებული საფრთხის საწინააღმდეგო ზომების აუცილებლობაში. მას ბრიტანელებისადმი რადიოთი მიმართვის ნება არ დართეს, რადგანაც ბი-ბი-სი სახელმწიფო მონოპოლია იყო, ხოლო ჩერჩილის პოზიცია კი ძალზე «წინააღმდეგობრივი».

მეორე ნიშნდობლივი მაგალითი 1959 წლის 26 იანვრის გაზეთ *ტაიმს*-იდან არის და «შავი სიის აღსასრულს» ეხება. აი *ტაიმს*-ის სტატია:

ოსკარის გადაცემის რიტუალი ჰოლივუდის დიდი სიამაყეა, თუმცა ორი წლის წინ ეს სიამაყე შეილახა. როდესაც პიესა «ყოჩაღი»-სათვის საუკეთესო ავტორად ვინმე რობერტ რიჩი გამოცხადდა, იგი ვერსად იპოვეს. რობერტ რიჩი ფსევდონიმი აღმოჩნდა, რომლის უკანაც 150-მდე მწერალი იდგა... რომლებიც 1947 წლიდან ამ დარგის შავ სიაში იყვნენ მოხვედრილი, კომუნისტობის, ან კომუნისტთა მხარდაჭერაში ეჭვმიტანის გამო. ამბავმა გაკვირვება გამოიწვია, რადგანაც კინოხელოვნების აკადემიამ წინასწარვე მოაშორა ოსკარის კონკურსს ყველა ჯურის კომუნისტი, ან მეხუთე დამატების მომხრე. მხოლოდ გასულ კვირას, მოულოდნელად გაიშიფრა კომუნისტთა ეს ამბავი და რიჩის პიროვნება.

ეს რიჩი, სინამდვილეში, დალტონ ტრამბო (თოფიანი ჯონი) აღმოჩნდა, ჰოლივუდის საუკეთესო ავტორთა ათეულიდან, რომელსაც 1947 წელს სასამართლოზე კომუნისტთა წინააღმდეგ უარი უთხრეს კინოინდუსტრიაში დასაქმებაზე. პროდიუსერმა ფრენკ კინგმა, რომელიც თავიდან შაყირობდა, რობერტ რიჩი «პატარა წვერებიანი ესპანელი ბიჭიაო», ახლა განაცხადა: «ჩვენ ჩვენი ინვესტორების მიმართ ვალდებული ვართ ვიმუშაოთ საუკეთესო სცენარების გამოყენებით. ტრამბომ მოგვიტანა «ყოჩაღი» და ჩვენ იგი შევისყიდეთ»...

პრაქტიკულად, ეს ამბავი ჰოლივუდის შავი სიის აღსასრული აღმოჩნდა. აკრძალული ავტორების ერთი ნაწილისთვის ეს ისტორია უკვე კარგა ხნის დამთავრებული იყო. ჰოლივუდის ამჟამინდელი ფილმების 15% მაინც არის შავ სიაში მოხვედრილ ავტორთა სცენარებით შექმნილი. პროდიუსერი კინგი ამბობს: «ჰოლივუდში უფრო მეტი მოჩვენება დადის, ვიდრე ლაუნის ტყეში. ქალაქის ყველა კომპანია იყენებს შავი სიის ავტორთა ნაწარმოებებს. ჩვენ, უბრალოდ პირველები აღმოვჩნდით, ვინც ეს ამბავი აღიარა».

კაცს შეიძლება, ჩემი არ იყოს, სჯეროდეს, რომ კომუნიზმი მთელ ჩვენს თავისუფლებას გადათელავს, სხვა, შესაძლოა სრულიად საწინააღმდეგო აზრს აღიარებდეს და ამავე დროს, დარწმუნებული იყოს, რომ თავისუფალ საზოგადოებაში დაუმეგებელია აუკრძალო ადამიანს თავისუფალი, ნებაყოფლობითი, ორმხრივ ხელსაყრელი ურთიერთობა სხვებთან, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი კომუნიზმს უწყევს პროპაგანდას. მისი თავისუფლება მოიცავს კომუნიზმის პროპაგანდის უფლებასაც. ამავე დროს თავისუფლება, რასაკვირველია, სხვათა უფლებასაც მოიცავს, რომ არ დაიჭირონ საქმე ამ ადამიანთან ამ პირობებში. ჰოლივუდის შავი სის შემოღება არა-თავისუფალი აქტი იყო, რომელმაც გადაქელა თავისუფლება, რადგანაც იგი წარმოადგენდა ძალისმიერი მედოლით თავისუფალი გაცვლის თავიდან აცილების არაკეთილსინდისიერ მცდელობას. მან სწორედ იმიტომ ვერ გაიტანა თავისი, რომ ბაზარმა ადამიანებს გაუძვირა შავი სიის შენარჩუნება. კომერციულმა მიდგომამ, იმ ფაქტმა, რომ საქმეში ფულის ჩამდებნი ისწრაფვიან, რაც შეიძლება მეტი მოგება ნახონ, დაიცვა შავ სიაში მოხვედრილ ინდივიდთა თავისუფლება იმით, რომ მათ დასაქმების ალტერნატიული ვარიანტი გამოუძებნა, ხოლო მათ დამსაქმებელს, - მათი დასაქმების ინტერესი.

ჰოლივუდი და კინომრეწველობა სახელმწიფო დაწესებულება, ანდა ინგლისში რომ ყოფილიყო, დასაქმების საკითხი ბი-ბი-სი-ს გადასაწყვეტი იქნებოდა და ძნელი წარმოსადგენია, რომ «ჰოლივუდის ათეულს», ან მათს მსგავსს აქ სამსახური ეპოვნა. ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ პირობებში, ინდივიდუალიზმისა და კერძო მეწარმოების, ან თუნდაც, უბრალოდ, არსებული სტატუს კვოს გარდა სხვა შეხედულებათა მხარდამჭერს ექნებოდა შესაძლებლობა ეპოვა სამუშაო.

ბაზრის მიერ პოლიტიკური თავისუფლების დაცვის კიდევ ერთი მაგალითი თვალწინ გადაგვეშალა მაკარტიზმის პერიოდში. საქმის არსობრივ მხარესა და ბრალდებათა

დასაბუთებულობას თავიც რომ დავანებოთ, ვინ დაიცავდა პირებს, განსაკუთრებით კი სახელმწიფო სამსახურში მყოფთ, შარის მოღებვისა და დაკითხვებისაგან, იმ საკითხებში, რომელიც მათი სინდისის წინააღმდეგ იყო მიმართული? მათი დაყრდნობა მეხუთე დამატებაზე მხოლოდ ფუჭი ჩივილი იქნებოდა, ქვეყანაში სახელმწიფო დასაქმების ალტერნატივა რომ არ არსებულყო.

მოქალაქენი ძირითადად კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულმა საბაზრო ეკონომიკის არსებობამ გადაარჩინა, რომელშიაც ისინი სარჩო-საბადებელს შოულობდნენ. ეს დაცვა აბსოლუტური აქაც არ იყო. ბევრი კერძო ფირმა იტყოდა უარს, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ამ დაღდასმულთა თავისთან დასაქმებაზე. ძალიანაც შესაძლოა, რომ ბევრ ამ ადამიანზე დახარჯულ თანხას ნაკლები გამართლება ჰქონდეს, ვიდრე ზოგადად, არაპოპულარული მოსახრებების მხარდამჭერ ადამიანებზე დახარჯულ თანხებს. მთავარი ის არის, რომ ხარჯები შეზღუდული კი იყო, მაგრამ არა საერთოდ აკრძალული, როგორც ეს სახელმწიფოს მიერ დასაქმებულთა ყველა შემთხვევაში მოხდებოდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დასაქმებულ ადამიანთა არაპროპორციულად დიდი ნაწილი დანამდვილებით მიდის ეკონომიკის ყველაზე კონკურენტულ სექტორში: მცირე ბიზნესში, ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში, იქ სადაც ბაზარი ყველაზე ახლოს არის თავის იდეალურ თავისუფალ ფორმასთან. პურის მყიდველმა არ იცის, თუ ვისი მოყვანილია ხორბალი, რომლისგანაც ცხვება პური, - კომუნისტისა თუ რესპუბლიკელის, კონსტიტუციონალისტის, თუ ფაშისტის, ან, საერთოდ - ზანგის თუ თეთრკანიანისა. ეს გვიჩვენებს, თუ როგორ ახერხებს არაპროპორციული ბაზარი ეკონომიკური ინტერესების განცალკევებას პოლიტიკური შეხედულებებისაგან და იცავს ადამიანებს იმ მიზეზებით დისკრიმინაციისაგან ეკონომიკურ საქმიანობაში, რომლებიც არ ეხება მათ შრომის ნაყოფიერებას, რასაც არ უნდა წარმოადგენდნენ ეს მიზეზები, - შეხედულებებსა, თუ კანის ფერს.

როგორც მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, ადამიანთა ის ჯგუფები ჩვენს საზოგადოებაში, რომლებსაც ნამდვილად ენაღვლებათ კონკურენტული კაპიტალიზმის დაცვა და გაძლიერება, ის უმცირესობანია, რომლებიც ყველაზე ადვილად ხდებიან უმრავლესობის მხრიდან მტრული გამოხდომების ობიექტი: ზანგები, ებრაელები, უცხოელები, მხოლოდ ყველაზე თვალსაჩინოებს თუ დავასახელებთ. მართლაც პარადოქსია, რომ თავისუფალი ბაზრის მტრები, - სოციალისტები და კომუნისტები, უმთავრესად სწორედ ამ ჯგუფებიდან გამოდიან. იმის მაგივრად, რომ დაინახონ, რომ სწორედ ბაზარი იცავს მათ, მათივე თანამოქალაქეთა ავი დამოკიდებულებისაგან, ისინი არსებულ დისკრიმინაციას გაუმართლებლად აბრალებენ ბაზარს.